

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების

კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა

N	უფლებამოსილება	უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოკლე აღწერა	საქმიანობის განხორციელების პერიოდი	საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1.	კომისიის სხდომების მომზადება და ჩატარება	ყოველი თვის I კვირის ორშაბათს და IV კვირის პარასკევს მოწვეული იქნება კომისიის მორიგი სხდომები	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს აპარატი	
2.	მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;	პერიოდული ანგარიშების მოსმენა ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობასა და საბიუჯეტო თანხების განკარგვაზე; ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობის კონტროლი;	I - IV კვარტალი	კომისიის თავმჯდომარე სამუშაო ჯგუფები;	
3.	ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზაციო საფასურისა ქირის საწყისი საფასურის დადგენა	I კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები;	
4.	აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;	ქონების მართვის, მათ აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელება ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე; წინადადებების შემუშავება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები;	
5.	წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და	ბიუჯეტში შესაბამისი მომსახურებისათვის თანხების გამოყოფა;	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფების	

	წყალანირების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების განვითარება;	მერიის მიერ წყალმომარაგების ლიცენზირებულ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე კონტროლი;		ხელმძღვანელები;	
6.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა და პროგრამების დამტკიცება;	ადმარტული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა - შეფასება; მუნიციპალური ინვესტიციების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა; გადაწყვეტილების მიღება იმ პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, რომლებიც შეეხება თვითმართველი ერთეულის განვითარებას;	II კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები;	
7.	ღონისძიებების განხორციელება დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით	საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;	I-II კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფები;	
8.	მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50% მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა	ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50% მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენის მიზნით სამუშაო ჯგუფების რეკომენდაციების განხილვა; საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის;	I კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები;	
9.	მერისათვის თანხმობის მიცემა მუნიციპალური ქონების შემძენზე/სარგებლობის უფლების მიმღებზე/მართვის უფლებით მიმღებზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირსაგამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ;	დასკვნის მომზადება; განხილვა-შეფასება; საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის;	I I კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; კომისია;	

10.	მერისათვის თანხმობის მიცემა პრივატიზებული ან/ და სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მიმღები პირის ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;	დასკვნის მომზადება; განხილვა-შეფასება; საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის;	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები;	
11.	მერისათვის თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;	დასკვნის მომზადება; განხილვა-შეფასება; საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის;	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები;	
12.	ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა	საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის;	III კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები;	
13.	მიწათსარგებლობის დაგეგმვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონებად დაყოფა; მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;	საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის; პროექტის მომზადება დასამტკიცებლად;	III კვარტალი;	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფები;	
14.	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის, მიწის იჯარის, მიწის გადასახადების ოდენობის, მისი გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცება;	საკითხის შესწავლის მიზნით კომისიის სამუშაო ჯგუფების მიერ რეკომენდაციების შემუშავება; საკითხის მომზადება საკრებულოს სხდომისთვის; პროექტის მომზადება დასამტკიცებლად;	IV კვარტალი	კომისიის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფი;	
15.	მერისათვის თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოთ გაცემის შესახებ	საკითხის შესწავლის მიზნით კომისიის სამუშაო ჯგუფების მიერ რეკომენდაციების შემუშავება;	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები;	
16.	მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება	წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის განხილვა-შესწავლა; დასამტკიცებლად წარდგენა;	საანგარიშო წლის განმავლობაში	კომისია	
17.	ანგარიშების მოსმენა პრივატიზაციის	მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ	საანგარიშო წლის	კომისიის თავმჯდომარე;	

	პროცესის მიმდინარეობის შესახებ	წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენა - შეფასება;	განმავლობაში	კომისიის წევრები;	
18.	ადგილობრივი ქონების და მუნიციპალიტეტის დოკუმენტების და მათთან დაკავშირებული უფლებების აღრიცხვის წესების დადგენა;	პროექტის განხილვა; დასკვნის მომზადება;	საანგარიშო პერიოდში	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები; სამუშაო ჯგუფები	
19.	კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებისათვის, განსახილველ პროექტებზე დასკვნების მომზადება	კომისიის წევრები ამზადებენ დასკვნებს, ორგანიზებას უწევენ, ან მონაწილეობენ იმ პროექტების განხილვაში, რომლებსაც საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად წარედგინება საკრებულოს ბიუროს	საანგარიშო პერიოდში	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები; სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები	
20.	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურებისა და თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ	კომისია ეცნობა, აფასებს, განიხილავს იმ სამსახურებისა და თანამდებობის პირების ანგარიშს, რომლებიც განეკუთვნება კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს	საანგარიშო პერიოდში	კომისიის თავმჯდომარეK	
21.	კომისიის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრა	კომისია საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში იწვევს სათანადო გამოცდილების მქონე ექპერტ-კონსულტანტებს, დაინტერესებულ იურდიულ პირებს, წინასწარ განიხილავს კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, შეიწავლის პრობლემებს და ეძებს გადაჭრის გზებს	საანგარიშო პერიოდში	კომისიის თავმჯდომარე	
22.	კომისიის ანგარიშის მომზადება და წარდგენა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე	სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, კომისია ამზადებს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ	საანგარიშო პერიოდის დასასრულს	კომისიის თავმჯდომარე სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები	
23.	2019 წლის სამუშაო გეგმის მომზადება	ახალი საანგარიშო წლისათვის სამუშაო გეგმის მომზადება სამუშაო ჯგუფებთან, საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად	საანგარიშო პერიოდის დასასრულს	კომისიის თავმჯდომარე სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები	